მიწოდების ხელშეკრულება 25

„4“ ოქტომბერი 2016 წ.

შპს „აი-ეს-პი“

(ფიზიკური ან იურიდიული პირის დასახელება)

რომელსაც წარმოადგენს ჯაბა წიკლაური გენ. დირექტორი შემდგომში „მიმწოდებლად“ წოდებულმა, ერთის მხრივ და სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფ. თეკლათის საჯარო სკოლა რომელსაც წარმოადგენს დირექტორი მერაბი დარჯანია შემდგომში „მყიდველად“ წოდებულმა, მეორეს მხრივ, დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს მყიდველს საკუთრებაში ამ ხელშეკრულების პ.1.2-ში მითითებული საქონელი ამ ხელშეკრულებით გათვალიწინებულ ვადებში, ხოლო მყიდველი ვალდებულია მიიღოს აღნიშნული საქონელი და დროულად, ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გადაიხადოს მისი საფასური.

1.2.მიწოდების საგანია შემდეგი საქონელი, შემდგომში „საქონლად“ წოდებული:

1.2.1. Cisco E 2500 შემდგომში „საქონელი N1“ (CPV კოდი 3020000)

2. მიწოდების მოცულობა (რაოდენობა) და ვადები

2.1 ამ ხელშეკრულები მოქმედების საერთო ვადა შეადგენს 1 თვე

ამ ხელშეკრულების მოქმედების საერთო ვადის დენა იწყება ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან.

2.2 საქონელი N1 მიეწოდება ერთჯერადად 1 ცალის ოდენობით.

3. საქონლის მიწოდების წესი

3.1. საქონლის მიწოდება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ მყიდველისთვის საქონლის ჩამოტვირთვის გზით.

3.2.მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს მყიდველს საქონლის გაგზავნის შესახებ (წერილის, ფაქსის და ა.შ.) მეშვეობით:არაუგვიანეს 1 დღისა საქონელი N1 ჩამოტვირთვამდე

3.3.საქონლის მიღების უზრუნველსაყოფად მყიდველი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი აუცილებელი მოქმდებები:

3.3.1. საქონელი N1-ის მიღებისას დროულად გადაიხადოს თანხა

3.4.მყიდველის მიერ მიღებული საქონელი უნდა შემოწმდეს მის მიერ შემდეგ ვადებში:

3.4.1. საქონელი N1 1 საათის განმავლობაში.

4. ხარისხი და კომპლექტურობა

4.1.მიმწოდებლის მხრიდან ხარისხისა და კომპლექტურობის დადასტურებას წარმოადგენს: მიღება ჩაბარების აქტი

4.2. ამ ხელშეკრულების 4.1, პუნქტებით გაუთვალისწინებელი საქონლის ხარისხის და კომპლექტურობის დაზუსტებული მახასიათებლების, აგრეთვე დამატებითი მოთხოვნების თაობაზე მხარეთა შეთანხმება ხდება ცალკე.

5. ფასი

5.1. მყიდველი იხდის მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის საფასურს შემდეგი ფასებით:

5.1.1. საქონელი N1 Cisco E2500 ვალუტა 160ლ 1 ცალზე (კგ და ა.შ.)

5.1.2. ჯამში 160 ლარი (ასსამოცი ლარი)

5.2.ანგარიშსწორება ყოველი მიწოდებული საქონლის ხდება უნდაღდო ანგარიშსწორებით 3 დღის განმავლობაში მიწოდების მომეტიდან უნაღდო ანგარისწორების გზით.

5.3. მყიდველი ვალდებულია შეატყობინოს მიმწოდებელს გადახდის შესახებ 3 დღის ვადაში გადახდის მომენტიდან.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მყიდველი უხდის გამყიდველს პირგასამტეხლოს ხელშეკრულების თანხის 5% ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

7. დავათა გადაჭრის წესი

7.1. ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის

მოლაპარაკებების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

8. დასკვნითი დებულებები

8.1. ეს ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს მხარეთა შეთანხმებით ან ერთ-ერთი მხარის მიერ ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში.

8.2. ამ ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ პირობით, თუ ის შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა მიერ. ამ ხელშეკრულების დანართები მის განუყოფელ ნაწილს შეადგენენ.

8.3. ეს ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად. ორივე ეგზემპლარი იდენტურია და აქვთ ერთნაირი იურიდიული ძალა. ორივე მხარეს აქვს ამ ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი.

9.მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

მიმწოდებელი	მყიდველი
შპს „აი-ეს-პი“ მისამართი	სსიპ სოფ თეკლათის საჯარო
ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას	სკოლა
	მისამართი:სენაკი სოფ. თეკლათი
6კვ. 6კორ. ბ.28	
ს/კ: 405010009	ს/კ: 239885148
სს ლიბერთი ბანკი	
ა/ნ GE66LB0113184235417000	

მიღება-ჩაბარება

აქტი N

ქ. სენაკი

“4” ოქტომბერი 2016

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ შპს „აი-ეს-პი“ გენერალური დირექტორი ჯაბა წიკლაური და მეორეს მხრივ სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ თეკლათის საჯარო სკოლის დირექტორი მერაბი დარჯანია წინამდებარე აქტით ვადასტურებთ,რომ 2016 წლის 4 ოქტომბერი მიმწოდებელმა შემსყიდველს მიაწოდა,ხოლო შემსყიდველმა მიიღო 1 ცალი Linksys Cisco E2500 როუტერი,ღირებულებით 160 ლარი ერთი ცალი,ჯამში 160 ლარი(ასსამოცი ლარი).

ზემოაღნიშნულს ვეთანხმებით რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

მიმწოდებელი
შპს„აი-ეს-პი“ გენ დირექტორი ჯაბა
წიკლაური:

შემსყიდველი
სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ
თეკლათის საჯარო სკოლის დირექტორი
მერაბი დარჯანია: